



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 19 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №190/19-1
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

--- 2019 წლის 21 ნოემბრის №190 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №--/-- -- წერილებით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2019 წლის 21 ნოემბრის №190 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, --- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (მომხსენებელი, თავმჯდომარე - ---) თავის განჩინებაში გაიმეორა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში შეტანილი ყალბი ცნობა თითქოსდა მოპასუხისადმი განცხადების მოთხოვნა დააზუსტა, რითაც უარი ეთქვა მის პირვანდელ მოთხოვნაზე. საჩივრის ავტორის თქმით, აღნიშნულით წაერთვა მოპასუხის მიმართ უფლება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

--- 2016 წლის 02 მარტს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელის განცხადებების განხილვის დავალება.

--- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით - --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილების 3.5 პუნქტის თანახმად:

„3.5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ზემოაღნიშნულ საკითხზე დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენა. სხდომაზე გამოცხადებულმა --- დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ - 2012 წლის 14 დეკემბერს სასჯელაღსრულების №-- დაწესებულებაში შედგენილ დოკუმენტში (ცნობა) ასახული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების/მესამე პირებისათვის (დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლებისათვის) გამჟღავნების კანონიერების შესწავლა; ამ დოკუმენტში მითითებული იმ მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და წაშლა, რომელიც არ შეეხება განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას და უკავშირდება სასამართლო პროცესზე მისი დასწრების შესაძლებლობას.“

ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველად მიუთითა კონკრეტული მტკიცებულებები (CD დისკი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 15 თებერვლის №გ- --/--/2016 გადაწყვეტილება).

---- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 02 ოქტომბრის განჩინებით, ---- სააპელაციო საჩივარი ---- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა.

განჩინების 5.11 პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის ზემოთმითითებული შეფასება (პუნქტი 3.5):

„5.11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ზემოაღნიშნულ საკითხზე დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენა. სხდომაზე გამოცხადებულმა ---- დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ მან მოითხოვა - 2012 წლის 14 დეკემბერს სასჯელაღსრულების №-- დაწესებულებაში შედგენილ დოკუმენტში (ცნობა) ასახული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების/მესამე პირებისათვის (დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლებისათვის) გამჟღავნების კანონიერების შესწავლა; ამ დოკუმენტში მითითებული იმ მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და წაშლა, რომელიც არ შეეხება განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას და უკავშირდება სასამართლო პროცესზე მისი დასწრების შესაძლებლობას.“

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საჩივრის ავტორი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან მიმართებაში მიუთითებს ---- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 02 ოქტომბრის განჩინებაზე, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაკეთებული შეფასებების გაზიარების (გამეორების) საკითხზე.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლის განჩინების შეფასება, რაც ერთმნიშვნელოვნად მოიცავს სასამართლოს მსჯელობას, მტკიცებულება გაზიარება/არგაზიარების საკითხებს და შეფასებებს, წარმოადგენს კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე და დისციპლინური კუთხით შეაფასოს სასამართლოს განჩინება.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე ---- მიმართ არ გამოიკვეთა 2019 წლის 21 ნოემბრის №190 საჩივარში მითითებული

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №190/19-1 მოსამართლე ---- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი